საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-827

17/09/2020

ქ. თბილისი

ხობის მუნიციპალიტეტში, სოფ. პატარა ფოთში, შპს „გეოფიშ კომპანის“ ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს „გეოფიშ კომპანის“ მიერ გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილია ხობის მუნიციპალიტეტში, სოფ. პატარა ფოთში ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობისა და ექსპლუატაციის სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება, რომ ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობა იგეგმება ხობის მუნიციპალიტეტში, სოფ. პატარა ფოთში, შპს „გეოფიშ კომპანის“ საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, 14062 m^2 ფართობის მქონე მიწის ნაკვეთზე (ს/კ 45.08.21.055). განცხადების მიხედვით, საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან 30 მეტრში მიედინება მდ. რიონი. აღსანიშნავია, რომ საპროექტო მიწის ნაკვეთის ნაწილი ხვდება მდ. რიონის წყალდაცვით ზოლში. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს გამწმენდი ნაგებობის განთავსების ზუსტი ადგილმდებარეობა, ხოლო წყალდაცვით ზოლთან დაკავშირებით დაცული უნდა იქნეს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები. წარმოდგენილი მონაცემების ელექტრონული გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ უახლოესი საცხოვრებელი სახლი ტერიტორიიდან დაახლოებით 470 მეტრში მდებარეობს, ხოლო 550 მეტრში - შპს ,,ზღვის პროდუქტების” თევზის გადამამუშავებელი (ანალოგიური ტიპის) საწარმო.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ სამინისტოში წარმოდგენილ იქნა ინფორმაცია, რომლის მიხედვით მიმდინარე წელს განხორციელდა შპს ,,გეოფიშ კომპანის” თევზისა და ზღვის პროდუქტების გადამამუშავებელი საწარმოს გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის არაგეგმიური შემოწმება. ინსპექტირების შედეგად დადგინდა, რომ საწარმოს საქმიანობა ხორციელდებოდა გარემოსდაცვითი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დარღვევით, კერძოდ: საწარმოში წარმოქმნილი დაბინძურებული წყლები გაწმენდის გარეშე ჩაედინებოდა ზედაპირული წყლის ობიექტში, რომლის ტემპერატურა აღემატებოდა დადგენილ ნორმებს, ასევე ჩამდინარე წყალში წყალბადის მაჩვენებელი არ შეესაბამებოდა კანონით განსაზღვრულ ნორმას და სხვა. აღნიშნული ინსპექტირების საფუძველზე შედგა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმები (N059410; N058783; N056400; N059409; N058754), რის საფუძველზეც, სასამართლომ შპს ,,გეოფიშ

კომპანი” სცნო ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად. ამასთან, კომპანიას გამოვლენილი დარღვევების აღმოფხვრის მიზნით, 2020 წლის 7 ივლისის N001725 ადმინისტრაციული მიწერილობით, განესაზღვრა ვალდებულებები.

წარმოდგენილი სკრინინგის განცხადების მიხედვით, შპს ,,გეოფიშ კომპანი” აღნიშნულ ტერიტორიაზე ფლობს თევზის გადამამუშავებელ საწარმოს. საქმიანობა სეზონურია და გრძელდება წელიწადში 5 თვე, ნედლეულის მოპოვების სპეციფიკიდან გამომდინარე. საწარმოში ხორციელდება ყოველდღიურად 650 ტონა თევზის (ქაფშია და მერლანტი) გადამუშავება, საიდანაც დღე-ღამის განმავლობაში მიიღება 97.5 ტონა თევზის ფქვილი (14625 ტ/წელ) და 45.5 ტონა თევზის ზეთი (6825 ტ/წელ).

საწარმოს ფუნქციონირების პროცესში წარმოიქმნება საწარმოო ჩამდინარე წყლები, დღე-ღამეში 70 $მ^3$ ოდენობით, შესაბამისად, დაგეგმილია გამწმენდი ნაგებობის მოწყობა და ექსპლუატაცია.

განცხადების მიხედვით გაწმენდის პროცესი მოიცავს რამოდენიმე საფეხურს: თავდაპირველად ხდება ქიმიური საშუალებებით წყლის PH განეიტრალება; შემდეგ ელექტრული მუხტის განეიტრალება, შეწონილი ნაწილაკების ფანტელებად შეკვრა და ფოსფორის მოშორება; საბოლოო ეტაპზე ხდება წყლის გაგრილება და ჩაშვება ზედაპირული წყლის ობიექტში, მდ. რიონში.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, თევზის გადამამუშავებელი საწარმოს ფუნქციონირების ეტაპზე, საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე ადგილი აქვს მავნე ნივთიერებათა წარმოქმნას და მათ შემდგომ გაფრქვევას ატმოსფერულ ჰაერში. აღნიშნული მავნე ნივთიერებებია: მტვერი, ნახშირბადის, გოგირდის, აზოტის ოქსიდები და ჭვარტლი. განცხადების მიხედვით, ჩამდინარე წყლების გამწმენდი სისტემის ფუნქციონირება არ გამოიწვევს ატმოსფერულ ჰაერში დამატებით მავნე ნივთიერებათა გაფრქვევას.

განცხადების თანახმად, საწარმოო პროცესში წარმოიქმნება არასასიამოვნო სუნი, რომელიც განსაკუთრებით ინტენსიურია თევზის ნედლეულისაგან მშრალი ფქვილის მიმღებ წარმოებაში. დაგეგმილი გამწმენდი ნაგებობის ექსპლუატაციის ეტაპზე ასევე მოსალოდნელია ორგანული ნივთიერების დეგრადაციით გამოწვეული არასასიამოვნო სუნის გავრცელება ატმოსფერულ ჰაერში და მოსახლეობაში, რამაც შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი ზემოქმედება. სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი ინფორმაცია არ იძლევა აღნიშნული საკითხის სრულყოფილად შეფასების საშუალებას, შესაბამისად საჭიროებს დამატებით შესწავლას და შეფასებას.

გამწმენდი ნაგებობის მოწყობის ეტაპზე და ასევე ექსპლუატაციის პერიოდში მოსალოდნელია როგორც სახიფათო ასევე არასახიფათო ნარჩენების, მათ შორის ორგანული ნარჩენების წარმოქმნა. სკრინინგის განცხადებაში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია აღნიშნული ორგანული ნარჩენების რაოდენობის და მათი დროებითი მართვის ღონისძიებების, კერძოდ საწარმოს ტერიტორიაზე განთავსების პირობების შესახებ. ამასთან, განცხადებაში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია გამწმენდი ნაგებობის მოწყობის პროცესის, მოწყობის ეტაპზე მოსალოდნელი სამშენებლო ნარჩენების და მათი შემდგომი მართვის შესახებ. აღსანიშნავია, რომ მდ. რიონი ტერიტორიიდან დაშორებულია 30 მეტრით, შესაბამისად, ნარჩენების არასწორმა მართვამ შესაძლოა ზემოქმედება მოახდინოს ზედაპირული წყლის ობიექტის ხარისხზე, რაც ასევე არ არის შეფასებული წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საწარმოო ჩამდინარე წყლები გაწმენდის შემდეგ სრულად დააკმაყოფილებს კანონმდებლობით დასაშვებ ნორმებს. არსებული კანონმდებლობის მიხედვით, ჩამდინარე წყლების ზღვრულად დასაშვები ჩაშვების ნორმები დგინდება დამაბინძურებელი ნივთიერებების თითოეულ მაჩვენებელზე და წარმოადგენს ჩამდინარე წყალში არსებულ ნივთიერებათა იმ მაქსიმალურ მასას, რომლის ჩაშვება დასაშვებია ზედაპირული წყლის ობიექტში. შესაბამისად, დასაზუსტებელია რის საფუძველზე მოხდა სკრინინგის განცხადებით წარმოდგენილი ჩამდინარე წყლის ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციების მაჩვენებლების მიღება.

განცხადებაში მითითებული მონაცემები არ იძლევა საშუალებას სრულყოფილად მოხდეს გამწმენდი ნაგებობის ეფექტურობის შეფასება, ვინაიდან არ არის წარმოდგენილი გაწმენდის ტექნოლოგიის დეტალური აღწერა და ნაგებობის საპასპორტო მონაცემები. სკრინინგის განცხადების და ასევე სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ სამინისტროში წარმოდგენილი კორესპონდენციის მიხედვით, ზედაპირული წყლის ობიექტში ჩამდინარე წყლის ტემპერატურა აღწევს 54.8^{0}C-ს. საკითხის სრულყოფილად შეფასების მიზნით საჭიროა ჩამდინარე წყლის მიმღები ობიექტის ტემპერატურული რეჟიმის შესწავლა. ამასთან, განცხადების მიხედვით, წყლის გაგრილება მოხდება გაწმენდის პროცესის შემდეგ, თუმცა, განცხადებაში არ არის აღწერილი გაგრილების სისტემა და მისი ეფექტურობა.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე. საზოგადოების მხრიდან აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები არ ყოფილა წარმოდგენილი.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით დგინდება, რომ ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის ექსპლუატაციამ შესაძლოა გამოიწვიოს გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება შესაბამისად, შპს „გეოფიშ კომპანიის“ საქმიანობიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია მოეწყოს ჩამდინარე წყლების სათანადო გამწმენდი ნაგებობა, რომელიც უზრუნველყოფს ჩამდინარე წყლებში ყველა დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვებ ჩაშვების ნორმამდე დაყვანას.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის, ამავე კოდექსის II დანართის მე-10 პუნქტის 10,6 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ხობის მუნიციპალიტეტში, სოფ. პატარა ფოთში, შპს „გეოფიშ კომპანის“ ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობა და ექსპლუატაცია **დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. შპს „გეოფიშ კომპანი“ ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-8 მუხლის შესაბამისად უზრუნველყოს სკოპინგის პროცედურის გავლა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „გეოფიშ კომპანის”;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „გეოფიშ კომპანის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;

5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული გადაწყვეტილება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ხობის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი